№ 01-08-15/347-2018-2
12.04.18

ხელშეკრულება № 015/2018

ქ. თბილისი 15 მარტი 2018 წ.

ერთი მხრივ, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მისი რექტორის არჩილ ფრანგიშვილის სახით (შემდგომში „დამკვეთი“) და შპს „პროექტირება მშენებლობა ექსპერტიზა“ მისი დირექტორის თამაზ შიშინაშვილის სახით (შემდგომში "შემსრულებელი"), ვდებთ აღნიშნულ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.დამკვეთი ავალებს, ხოლო შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას შემდეგი მომსახურების გაწევაზე:
ა) საწარმოო (წლიური მოცულობით 100 სთ) და წინასაკვალიფიკაციო (წლიური მოცულობით 100 სთ) პრაქტიკის გასატარებლად მიიღოს დამკვეთის მიერ პრაქტიკაზე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით „მშენებლობა“ (საავტომობილო გზებისა და აეროდრომები, ხიდები და სატრანსპორტო გვირაბები) გაგზავნილი - მაქსიმუმ 10 სტუდენტი.
ბ) საწარმოო (წლიური მოცულობით 100 სთ) პრაქტიკის გასატარებლად მიიღოს დამკვეთის მიერ პრაქტიკაზე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით „მშენებლობა“ (საავტომობილო გზებისა და აეროდრომები, ხიდები და სატრანსპორტო გვირა-ბები) გაგზავნილი - მაქსიმუმ 5 სტუდენტი.
გ) შემსრულებელი პრაქტიკანტებს დაუნიშნავს მენტორს და უზრუნველყოფს პრაქტიკის მაღალ დონეზე გატარებას შემკვეთის მიერ მიწოდებული პრაქტიკის სილაბუსისა და დღიურის შესაბამისად;
დ) პრაქტიკის დასრულების შემდეგ თითოეულ სტუდენტზე გასცემს ბეჭდით დამოწმებულ დასკვნა-დახასიათებას.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1.შემსრულებელი:
2.1.1.უწევს ამ ხელშეკრულების პ.1.-ით გათვალისწინებულ მომსახურებას შემსრულებლის ადგილ-სამყოფელის მიხედვით: თბილისი, ჭოველიძის #20;
2.1.2.შესრულებული ვალდებულია უზრუნველყოს შემკვეთთან შეთანხმებული პრაქტიკის სილაბუ-სით გათვალისწინებული სამუშაოს მაღალ დონეზე შესრულება;
2.2. დამკვეთი:
2.2.1. შესრულებულს მიაწოდოს პრაქტიკაზე გასაგზავნი სტუდენტების სია და პრაქტიკის სილაბუსი.

3. მომსახურების ანაზღაურების წესი

3.1.ამ ხელშეკრულებით გაწეული მომსახურება პრაქტიკა წარიმართება ანაზღაურების გარეშე წლი-ური მოცულობით 300 სთ, რომელიც შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. შესრულებული იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო შეასრულოს ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში.
4.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2027 წლის სექტემბრამდე.

5. სხვა პირობები

5.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება მხარეთა შეთანხმებით.
5.2. მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
5.3. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა მოცემულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და მისგან გამომდინარეობს, მხარეები გადაწყვეტენ მოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში - მიმართავენ სასამართლოს.
5.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან. ორივე ეგზემპლიარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

6. მხარეთა მისამართები და ხელმოწერები

შემსრულებელი: შპს „პროექტირება მშენებლობა ექსპერტიზა“, ქ. თბილისი, ჭოველიძის #20 ს/კ 412710963	დამკვეთი: სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი კოსტავას ქ. 77, ს/კ 211349192
--- თ. შიშინაშვილი	--- ბ. ფრანგიშვილის